ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 365

"8" ნოემბერი 2016 წ.

ქ.თბილისი

ქალაქ თბილისში, თამარაშვილის ქუჩაზე, ფიზიკის ინსტიტუტის მოპირდაპირედ მდებარე 22 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.03.042.070) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „ნ.ს."-სთვის (ს/კ: 211322317) გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, `ქალაქ თბილისში, თამარაშვილის ქუჩაზე, ფიზიკის ინსტიტუტის მოპირდაპირედ მდებარე 22 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.03.042.070) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „ნ.ს."-სთვის (ს/კ: 211322317) გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 26 ოქტომბრის №41.04.887 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, თამარაშვილის ქუჩაზე, ფიზიკის ინსტიტუტის მოპირდაპირედ 22 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.03.042.070) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 2 400 (ორი ათას ოთხასი) ლარის ოდენობით.

3. იჯარის მოქმედების ვადა განსაზღვრულია 10 წლით.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**